გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

თელავის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ონლაინ საქველმოქმედო აუქციონი

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

მუნიციპალური სერვისი ,,ქალთა ოთახი“

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ნელი აბეჩხრიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის ,,ქალთა ოთახის“ მენეჯერი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების საქმის წარმოების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი. თელავის მუნიციპალიტეტში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და კახეთის რეგიონის მუნიციპალურ ცენტრს წარმოადგენს. მისი ფართობია - 1095 მ^2. 2020 წლის საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 55 100 ადამიანს შეადგენს. მათ შორის, 36 502-სოფლად ცხოვრობს, 18 598 - ქალაქ თელავში.

თელავის მუნიციპალიტეტი შედგება 27 ადმინისტრაციული ერთეულისგან, რომელიც აერთიანებს ქალაქ თელავს და 29 სოფელს.

თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით ყვარლის, სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის, სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12 °C, ნალექების რაოდენობა 700-800 მმ წელიწადში.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

შიდა ფაქტორები *- იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;*

თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლიდან ფუნქციონირებს მუნიციპალური სერვისი ,,ქალთა ოთახი", რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო საკონსულტაციო რესურსცენტრია. **,,ქალთა ოთახის"** მიზნებია:

- **დაეხმაროს** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს (განსაკუთრებით, გამგებლის/მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში) გენდერული თანასწორობის პრინციპების გააზრებასა და შესაბამისი კანონმდებლობის იმპლემენტაციაში;
- **განახორციელოს** ის აქტივობები, რომლებიც გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობა;
- **ხელი შეუწყოს** ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (დასახლების საერთო კრებებზე, გამგეობის/მერიის და საკრებულოს სხდომებზე, და ა.შ.);
- **უზრუნველყოს** მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და ადგილობრივ პროგრამებზე და სერვისებზე, რომლებიც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონის ზრდაზეა ორიენტირებული (მაგ. ჯანდაცვის პროგრამები, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამები და ა.შ.);
- **გაზარდოს** ქალების (და ასევე კაცების) ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უფასო ინტერნეტის და ბიბლიოთეკის, ასევე სპეციალური ტრენინგების შეთავაზებით, რათა ხელი შეუწყოს სხვადასხვა ადგილობრივ ბიზნეს ინიციატივებს და სტარტ-აპებს;
- **დაეხმაროს** სოფლად მცხოვრებ ქალებს (და მამაკაცებს) მათი მოსაზრებების და პოზიციების ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიტანა-დაფიქსირებაში; განახორციელოს მცირე პროექტები, რომლებიც ქალთა ეკონომიკური და სამოქალაქო აქტივობის გაზრდაზეა ორიენტირებული .

თელავის მუნიციპალიტეტში ,,ქალთა ოთახის" მენეჯერი, მუნიციპალიტეტში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიის სხვა სამსახურებთან და ადგილობრივ საკრებულოსთან. ასევე ის არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი.

,,ქალთა ოთახის„ მენეჯერი:

- პასუხისმგებელია მოსახლეობისთვის „ქალთა ოთახის" სერვისების ხარისხიან მიწოდებაზე (კონსულტაცია, საბავშვო კუთხე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერი, ინტერნეტი) ;
- აწარმოებს მუნიციპალიტეტის გენდერულ სტატისტიკას;
- თანამშრომლობს მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, ატრენინგებს მათ გენდერული სახელმძღვანელოს გამოყენებით;
- ატარებს შეხვედრებს სოფლებში (სადაც ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები თანაბრად არიან ჩართულნი) ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიკაციის მიზნით;

- ქმნის მუნიციპალიტეტის აქტიური, ლიდერი ქალების ბაზას;
- თანამშრომლობს ადგილობრივ ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან;
- ეხმარება სოფლად მცხოვრებ ქალებს ახალი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებაში (ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ჩატარება, ფონდების მოძიება და ა.შ.);
- თანამშრომლობს არასამთავრობო და კერძო სექტორების წარმომადგენლებთან მათი სერვისების მოსახლეობისთვის თანაბრად და თანასწორად (ქალებისა და მამაკაცებისთვის) მიწოდების მიზნით.
- გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

გარე ფაქტორები *- ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;*

თელავი კახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის სიახლოვედედაქალაქ თბილისთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და დედაქალაქს შორის - 149 კმ-ია. თელავის მუნიციპალიტეტი დამეგობრებულია ევროპის ქვეყნების ქალაქებთან და მათთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროექტებს. მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს რეგიონის მასშტაბით მოქმედ ორმოცამდე ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

ეკონომიკისა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდია კახეთის რეგიონში. ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. სოფლის მეურნეობის დარგებიდან უმსხვილესია: მეცხოველეობა, მემინდვრეობა და მეღვინეობა-მევენახეობა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში გამოირჩევა ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ყველაზე დიდი წილით. 2018 წლის მონაცემებით, პროდუქციის გამოშვებამ 538 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანად კახეთის წარმოების 47%-ია.

პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- ***გამოწვევა*** *- პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;*
- ***წარსული გამოცდილება*** *- როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;*
- ***პასუხი არსებულ გამოწვევაზე*** *- მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი*

Covid-19 ით გამოწვეულმა სოციალურმა თუ ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მეტად დააზარალა მუნიციპალიტეტში არსებული მოწყლადი ჯგუფები.

მიუხედავად იმისა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტში რსებული თითოეული სამსახური მაქსიმალურად იყო ჩართული სოციალურად დაუცველი

ოჯახებისთვის საკვები პროდუქტების დახარისხებისა და სახლში მიტანის უზრუნველყოფის საქმეში, მაინც დიდი იყო იმ ოჯახების რაოდენობა ვისაც ეკონომიკური დახმარება სჭირდებოდათ.

იქედან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტები და მათ შორის ,,ქალთა ოთახი" გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე ბენეფიციარებთან კომუნიკაციის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად ინტერნეტ სივრცე წარმოადგენდა. თელავის ქალთა ოთახის ინიციატივით სოციალურ ქსელ Facebook-ში შეიქმნა ჯგუფი **,,საქველმოქმედო აუქციონი".** აუქციონში მონაწილეობა მიიღო ახმეტის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ,,ქალთა ოთახმა". აუქციონი გაგრძელდა 3 კვირას და ჯამში 2023 ლარი. აღნიშნული თანხიდან თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 3 ოჯახს გადაეცა ფულადი თანხა და საჩუქრები ჯამში - 894 ლარი. 1129 ლარი კი გადანაწილდა 4 ოჯახში ახმეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში.

ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2 ოჯახს გადაეცა ჯამში 455 ლარი.
გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2 ოჯახს - ჯამში 674 ლარი.

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- ***პროექტის შინაარსი;***
- ***აქტივობათა გეგმა/გრაფიკი*** *(გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);*
- ***პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი*** *(მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, გრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). <u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
- ***ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების*** *(მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა)* ***ჩართულობის შესახებ;***
- ***ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:***
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- ***პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;***
- ***ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;***
- ***სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;***

თელავის ,,ქალთა ოთახის" ინიციატივით - 2020 წლის 7 დეკემბერს სოციალურ ქსელ Facebook-ზე შეიქმნა დახურული ჯგუფი ,,საქველმოქმედო აუციონი" შეიქმნა, მიზანი იყო საშობაოდ ერთი დღე გაგველამაზებინა იმ ოჯახებისთვის, რომლებზეც განსაკუთრებულად იმოქმედა პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ. აუციონში ჩაერთნენ ახმეტისა და გურჯაანის

მუნიციპალიტეტის ,,ქალთა ოთახები“. აუქციონი სამ კვირას გრძელდებოდა, თელავის, ახმეტისა და გურჯაანის „ქალთა ოთახების“ მიერ შერჩეული შვიდი ოჯახის დასახმარებლად: ძალადობის მსხვერპლი მარტოხელა დედა, მოხუცი ბებიების და პაპების ანაბარად დარჩენილი ობოლი თუ მშობლებისგან მიტოვებული მცირეწლოვანი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოჯახი, უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახი და ა.შ.

ჯგუფი იყო დახურული და ქალთა ოთახის მენეჯერები უწევდნენ ჯგუფს მოდერაციას. გაჭირდებული ოჯახების ისტორიების განთავსებას, შემომწირველების მოძიებას. შემომწირველი ანთავსებდა ჯგუფში გასაყიდ ნივთს/მომსახურებას და უთითებდა კონკრეტულად რომელი ოჯახის დასახმარებლად ყიდდა. გაყიდული ნივთების/მომსახურების თანხა ირიცხებოდა შემომწირველის პირად საბანკო ანგარიშზე და შემგომ ის რიცხავდა ,,ქალთა ოთახის“ მენეჯერის ანგარიშზე. კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით ისტორიები ჯგუფში თავსდებოდა შემდეგი ფორმით:

ისტორია N1

#აუქციონი #თელავი #მარინაბებოსისტორია

ვარ 66 წლის მარინა ბებო, სანიორიდან (თელავის მუნიციპალიტეტი) . ვაი ვაგლახით და წვალებით, მარტო ვზრდი ორ შვილიშვილს 14 წლის სანდროს და 15 წლის ნოდარს. დედამ მიატოვა ბავშვები და საზღვარგარეთ წავიდა , მათ ამბავსაც არ კითხულობს. ჩვენ სიდუხჭირეს ისიც დაემატა, რომ წლების წინ მამა გარდაეცვალათ ბავშვებს, რამაც რათქმა უნდა უფრო გაუსაძლისი გახადა ბავშვების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. ერთი წლის წინ ჩემი მეუღლეც გამოგვეცალა ხელიდან და დავრჩით ბედის ანაბარა.

ისტორია N2

#აუქციო #ნაფარეული #სალომესდათინიკოსისტორია

ანა და მერაბი შეუღლდნენ გაჭირვებულ წლებში,ორივენი იყვნენ ობლები და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან. შრომას არ თაკილობენ და დილიდან დაღამებამდე მუშობენ;

ცხოვრება დაიწყეს ნულიდან,შეეძინათ ორი გოგონა სალომე და თინიკო, ახლა 13 და 10 წლისანი არიან, მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა კავშირის დროინდელ მეურნეობის შენობაში ცხოვრობენ და არ აქვთ ნორმალური საცხოვრებელი პირობები გოგონები განათლებაზე უარს არ ამბობენ და სკოლაში კარგად სწავლობენ.

ბავშვებს არ არქვთ საწერი მაგიდა და ელემენტარულო საყოფაცხოვრებო ნივთები.

ისტორია N3

*#აუქციონი #თ*ელავი *#ნინოსისტორია*

,,ვარ მარტოხელა 16 წლის შშმ გოგონას დედა. მქონდა ავთვისებიანი სიმსივნე. იანვარში გავიკეთე ოპერაცია . ოპერაციის შემდეგ ქიმიები, სხივები. პანდემიამ ყველა გამოგვკეტა სახლში და დავიწყეთ ძიება ჩვენი შესაძლებლობების. ნოემბერში შშმ პირთათვის განხორციელდა პროექტი ,,გაგვიცანი და დაინახე ჩვენი შესაძლებლობები“, სადაც ჩემი შვილიც იყო ჩართული. მუშაობის პერიოდში შიგადაშიგ ვეხმარებოდი დავალების შესრულებაში, რადგან ყოველთვის მაინტერესებდა თექაზე მუშაობა . ვიფიქრე დარჩენილი თექით რამე გამეკეთებინა. პირველი რაც ჩემს გოგონასთან ერთად გავაკეთეთ პინგვინი იყო.

გამოგვივიდა.....
ახალი წელი გვიახლოვდება და ვცადეთ საახალწლო აქსესუარები დაგვემზადებინა.“

ისტორია N4
#ისტორია #ახმეტა #მარიანასისტორია #საშობაოქველმოქმედება

,,მოგესალმებით! მე მარიანა ვარ, 27 წლის. ორი ვაჟიშვილი მყავს 8 და 6 წლის. ბავშვობა და მშობლებთან ცხოვრების პერიოდი ბედნიერ წლებს მაგონებს-თქო ვერ გეტყვით, ჩვენი სიღარიბის და დედის მუდმივად ავადმყოფობის გამო, მაგრამ ვფიქრობდი, გავიზრდები, ოჯახს შევქმნი და ჩემი ცხოვრებაც გაცილებით უკეთესი იქნება მეთქი. მომავლის იმედით ვცხოვრობდი. მაგრამ, თურმე უარესი წინ მელოდა, რა მდგომარეობაშიც გათხოვების შემდგომ აღმოვჩნდი, ბავშვობა მართლა სანატრელი გამიხდა.

.... პატარა ასაკში გავთხოვდი, გათხოვებიდან ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემი მეუღლე ალკოჰოლიკი იყო, თან პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა, ძალადობდა არა მარტო ჩემზე, არამედ ბავშვებზეც.....ბევრი ვიბრძოლე რომ მისიდა ჩვენი მდგომარეობა შემეცვალა,მაგრამ ვერაფერს გავხდი.....იძულებული გავხდი დამეტოვებინა ოჯახი და ორი შვილით წამოვსულიყავი. მშობლების სახლში ვერ მივიდოდი, ვიქირავე ბინა და მშობლების მცირეოდენი დახმარების და სოციალური შემწეობის წყალობით ვარსებობდით, მაგრამ ჩემს მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ უფროსი შვილი გონებრივად ჩამორჩენილი მყავს. მუდმივი შიშის და სტრესის გამო ვერ ლაპარაკობს, მეც ვერ მივხედე ბავშვობიდან, ვიფიქრე ასაკთან ერთად ისწავლის თქო, მაგრამ პირიქით მოხდა, ახლა კი ყოველი დღე ჯოჯოხეთად მაქვსვ ქცეული ამის გამო. არც სახლი მაქვს და მკურნალობისთვისაც თანხა გვჭირდება, თანაც აღნიშნული სერვისი ჩემს მუნიციპალიტეტში არ არის და ბავშვი თელავში ან თბილისში უნდა ვატარო..... ვიბრძვი! ვიბრძვი, ჩემს შვილებს ყოველდღიური ლუკმა და ელემენტარეული ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ შევუნარჩუნო.....“

ისტორია N5
#ისტორია #გურჯაანი #სვეტლანასისტორია #საშობაოქველმოქმედება

,,მე სვეტლანა ობოლაშვილი ვარ, სამი ობოლი ბავშვის ბებია, მძიმეა ჩემი ისტორიის მოყოლა, რთულია საუბარი იმაზე, რომ ორი შვილიდან არცერთი აღარ მყავს ცოცხალი. ჩემი ვაჟიშვილი 26 წლის ასაკში დასაოჯახებელი , მოულოდნელად გაურკვეველი დაავადებით გარდამეცვალა. ქალიშვილი, რომელსაც სამი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ჰყავდა, თავზარდამცემი დაავადების წინაშე (ჰოჩკინის ლიმფომა) უძლური აღმოჩნდა. თავგამოდებით იბრძოდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მეც მის გვერდით ვიყავი, ყველას გული შესტკიოდა ჩვენზე, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ჩვენი ბრძოლა მძიმე სენის წინააღმდეგ, ურთულესი დღეები დაგვიდგა , დღითი დღე მძიმდებოდა მისი მდგომარეობა, გაუსაძლისი იყო მისი შვილების სასოწარკვეთილი თვალების ყურება...და დადგა მწარე რეალობა, 27 წლის ასაკში მეორე შვილმა დამტოვა, დამიტოვა სამი მცირეწლოვანი ობოლი ბიჭი ეპიტაშვილი ნიკოლოზი და ანდრეა, ობოლაშვილი გოჩა. ბავშვების მამა აზერბაიჯანის მოქალაქეა, რომელმაც უარი თქვა ბავშვების აღზრდაზე.

ამ ეტაპზე ჩვენი მდგომარეობა ასეა, ვცხოვრობთ ნაქირავებ ბინაში , ვიხდით 300 ლარს, ალბად გაგიკვირდებათ რა რესურსით ვახერხებ ამ თანხის გადახდას? ჩვენს უბედურებას ისიც დაემატა, რომ ანდრეა ეპილეფსიით დაავადდა, შესაბამისად იღებს პენსიას, გვაქვს სოციალური შემწეობაც ესაა ჩემი ობლების შემოსავალი. ანდრეა ყოველთვიურად საჭიროებს ძვირადღირებულ მედიკამენტებს,

ამას ემატება ბინის ქირა და კომუნალურები, ბავშვებისთვის მიზერული თანხა მრჩება, რომელსაც თვიდან თვემდე საკვებად ძლივს ვუნაწილებ.

რთულია ჩემთვის სადღესასწაულო დღეების მოახლოვებაც, მიმძიმს ობლების ყურება, მათთვის ხომ შობა ახალი წელი ჩვეულებრივი უფერო დღესასწაულია.“

ისტორია N6

#გურჯაანი #ისტორია #სამიგოგონასისტორია

დღეს გვინდა გიამბოთ ნაღვლიანი ისტორია ერთ გაჭირვებულ ოჯახზე , სადაც 6 ადამიანი: პაპა, ბებია , მამა და სამი შვილიშვილი 12 წლის ტყუპი გოგონები და 11 წლის უმცროსი და ცხოვრობენ.

ბავშვები დედამ მაშინ მიატოვათ, როდესაც უმცროსი გოგონა 11 თვის იყო,მათი მოვლა პატრონობა მამამ და ბებიამ ითავეს, ბებიამ, რომელიც ხელმეორედ დაიბადა, დიახ არ მოგესმათ ერთ-ერთი ურთულესი ოპერაციის დროს მას გული გაუჩერდა , მისი გადარჩენა წარმოუდგენელი იყო. თუმცა უფლის წყალობით ქალბატონმა თინამ თვალი გაახილა, ალბად იმიტომ რომ მას თავის მისია დედამიწაზე ჯერ არ ქონდა შესრულებული.

ის მარტო სამ მცირე წლოვან შვილიშვილს არ უვლის. 14 წელია ინსულტის შედაგად მეუღლე საწოლსაა მიჯაჭვული, თითების ამპუტაცია აქვს გაკეთებული და ეხლა უკვე ორივე კიდური საჭიროებს მოკვეთას. ოჯახის რთულ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ერთ ერთი გოგონა ცელიაკიითა დაავადებული (ვერ იკვებებე პურეულით), როდესაც ვკითხეთ თინა ბებოს თუ რითი კვებავს გოგონოს, თვალები ცრემლით აევსო და გვიპასუხა მხოლოდ საჭმლით, რომელიც ძირითადად წყალზე მომზადებული წვნიანია. ბავშვის საკვები 1კგ. ფქვილის ფასი 20 ლარია და ისიც მარტო თბილისში გუდვილის მაღაზიაში იყიდება, ალბად ძნელი წარმოსადგენი არაა რატომ ვერ ახერხებს ოჯახი თბილისში სიარულს და საკვები ფქვილის შეძენას.

ბავშვები იმ ასაკში არიან, რომ ჯერ კიდევ ჯერათ თოვლის ბაბუის არსებობის, ჯერათ რომ მათი სახლის ფანჯრებთანაც გაჩერდება მისი ეტლი და დაეხმარებათ ბავშობის აუსრულებელი სურვილების ასრულებაში.

ჩვენ კი იმედს არ ვკარგავდ, გვჯერა კეთილი ადამიანების არსებობის!

ისტორია N7

#ისტორია #ახმეტა #იზოსისტორია #საშობაოქველმოქმედება

მე იზო ზუროშვილი ვარ ახმეტიდან, 9 შვილის დედა, 2 ქალიშვილი და 7 ვაჟი მყავს, 5 უკვე სრულწლოვანია, 4 კი არასრულწლოვანი. ლუკა 16-ის, გოგა 13-ის, საბა 11-ის და ბარბარე 6 წლისაა. უფროსი ვაჟი დაქორწინებულია და მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად (სამი და 1 წლის) ჩვენთან ცხოვრობს. უფროსი შვილიშვილი ლაზარე მყავს, რომელიც თანდაყოლილი დაავადებით დაიბადა და მუდმივ მკურნალობას, რეაბილიტაციას და ვარჯიშებს საჭიროებს, რისი საშუალებაც რა თქმა უნდა არ გვაქვს. რომ გითხრათ ძალიან მიჭირს და დახმარება მჭირდება თქო ალბათ არ გაგიკვირდებათ, რადგან ახლა მცირერიცხოვან ოჯახებსაც უჭირთ თავის გატანა, ჩვენ კი ოჯახში 14 ადამიანი ვცხოვრობთ. ბევრი სირთულე გამოვიარე და კვლავაც უამრავი პრობლემის წინაშე ვდგავართ, მაგრამ თხოვნა და წუწუნი არასდროს მიყვარდა, მერიდებოდა, ყოველთვის ვჯერდებოდით იმას, რასაც მე და ჩემი მეუღლე ფიზიკური შრომით ვახერხებდით, მეუღლე უზომოდ მშრომელია და მეც ყოველთვის ვცდილობდი მასთან ერთად ყველა საქმე მეკეთებინა, რომ შვილები მშივრები არ გვყოლოდა. არასდროს არავისგან დახმარება არ მიმიღია, ახლა გავბედე

შეგეხმიანოთ... პანდემიის და ზამთრის გამო ძალიან გაგვიჭირადა. ვიცი მე სახლს და ავეჯს ვერავინ შემიძენს 7 ვაჟიშვილისთვის, რადგან ყველას თავისი გაჭირვება აქვს, მაგრამ მცირეოდენი დახმარებაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება და მადლიერი დავრჩებოდი, თუნდაც ეს ყოველდღიური ნივთები და სურსათი იყოს, მითუმეტეს შობის დღეებში.....

საქველმოქმედო აუქციონის დახურულ ჯგუფში მთელი ქვეყნის მასშტაბით ხუთასამდე ადამიანი გაერთიანდა, რომლებიც ყიდულობდნენ ან ყიდიდნენ სხვადასხვა ნივთებს, მიღებული თანხით კი ეხმარებოდნენ ზემოთხსენებულ ოჯახებს. მხატვრებმა, ხელოვანებმა, მწერლებმა, გამომცემლობებმა, მეღვინეებმა, მეფუტკრეებმა პიზიკურმა პირებმა თბილისიდან და რეგიონებიდან აუქციონს სხვადასხვა ნივთები და პროდუქცია შესწირეს(წიგნები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასტუმროს მომსახურება, ანტიკვარული საათი, ჩანთები, სხვადასხვა აქსესუარები) რომელთა გაყიდვიდან მოგროვილი 2023 ლარი. თელავის მუნიციპალიტეტში 3 (სამი) ოჯახს გადაეცა ფულადი დახმარება და საჩუქრები შეგროვდა ჯამში - 894 ლარი.

„უამრავ ადამიანს აქვს სურვილი და საშუალება, რომ დაეხმაროს მათ, ვისაც ეს სჭირდება. ჩვენ ვაგროვებთ იმ ოჯახების ისტორიებს, რომელთათვის ნებისმიერი ტიპის დახმარება ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ ისტორიებს კითხულობენ აუქციონის მონაწილეები და თავად ირჩევენ მათ, ვისი დახმარებაც უნდათ. საქველმოქმედო აუქციონი კარგი საშუალებაა დამწყები ხელოვანებისა და ბიზნესების წარმოსაჩენად, რომლებიც საკმაოდ არიან რეგიონებში, თუმცა მათი ცნობადობა დაბალია“. - თელავის „ქალთა ოთახის“ მენეჯერი

7. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ფულადი თანხითა და საჩუაქრებით დავეხმარეთ შვიდ ოჯახს, რომლებზეც განსაკუთრებულად იმოქმედა COVID-19-ის მიერ შექმნილმა მდგომარეობამ. იქედან გამომდინარე რომ აუქციონი ონლაინ მიმდინარეობს ჩაერთნენ ახმეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. გასაყიდად შემოწირული ნივთები თუ ტანსაცმლის განთავსებაც მარტივად ხდებოდა სოციალურ ქსელში.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- ***წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები*** *(მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);*
- ***ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ*** *(გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):*
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

აღნიშნული პროექტი წარმატებით ჩატარდა, წარმატების განმსაზღვრელი იყო შემდეგი ფაქტორები: გაჭირვებულ ოჯახებს შედარებით გაუუმჯობესდა ეკონომიკური მდგომარეობა და მიეწოდათ ინფორმაცია ,,ქალთა ოთახის“ შესახებ;
მეწარმეებს საშუალება მიეცათ ქველმოქმედებასთან ერთად მათი პროდუქციის პოპულარიზაცია მოეხდინათ აუდიტორიასთან (ჯამში 489 ჯგუფის წევრი).

აუქციონის ფორმიდან გამომდინარე, მისი ჩატარება დამატებით ფინანსურ რესურს არ მოითხოვს და ნებისმიერი მუნიციპალიტეტიდან ან ქვეყნიდან შესაძლებელია მონაწილეობის მიღება, რაც ზრდის პროექტის მაშტაბურობას.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, როგორც შემომწირველები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

გაჭირვებული ოჯახების ისტორიების მოძიებაში ჩართულნი იყვნენ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები და იქ მომუშავე სპეციალისტები.

როგორც ზევით ავღნიშნე, თელავის მუნიციპალიტეტის ,,ქალთა ოთახი“ წარმოადგენს მუნიციპალურ სერვისს და ფუნქციონირებს მერიაში. არის მერის დაქვემდებაში და ,,ქალთა ოთახს“ საკრებულოს ოფიციალური დამტკიცების დოკუმენტი არ გააჩნია. შესაბამისად მის მიერ განხორციელებული საქმიანობას და შედეგების შეფასებას მერი ანხორციელებს.

10. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

2021 წლის 6 ოქტომბერს ქალთა ოთახის მენეჯერების ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა ოთახების გაერთიანება ს.კ. 448057094. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეა - ნელი აბეჩხრიშვილი; ხოლო აღამსრულებელი დირექტორი - ფატიმა ბოლქვაძე (ხულოს მუნიციპალიტეტია ქალთა ოთახის მენეჯერი) ეს არის ე.წ. ქოლგა ორგანიზაცია რომელში ამჟამად გაერთიანებული 11 მუნიციპალური სერვისი ,,ქალთა ოთახი“. ა(ა)იპ ,,ქალთა თახების გაერთიანების“ ერთ ერთი მთავარი მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისის ,,ქალთა ოთახი''-ს (ჯამში 32) განვითარება, კოორდინაცია და მათი ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა; შეიქმნა ქალთა ოთახების გაერთიანების ოფიციალური ვებ გვერდი სადაც ერთი ერთი ველია ,, დონაცია“ .

ვფიქრობ, ეფექტური იქნება საქველმოქმედო აუქციონის პრაქტიკის დანერგვა საქართველოს მაშტაბით. გაჭირვებული მარჩენალდაკარგული ოჯახების, მარტოხელა დედების, სწავლის დაფინანსების , სხვადასხვა კეთილი საქმისა და ინიციატივის განხორციელებისათვის.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

ნელი აბეჩხრიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის ,,ქალთა ოთახის“ მენეჯერი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების საქმის

წარმოების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი. თელავის მუნიციპალიტეტში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი.

ტელ: 599 56 02 83
ელ-ფოსტა: abechkhrishvilin@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

ნელი აბეჩხრიშვილი - თელავის ქალთა ოთახის მენეჯერი
ტელ: 599 56 02 83
ელ-ფოსტა: abechkhrishvilin@gmail.com

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

საქველმოქმედო აუციონი
,,ქალთა ოთახის“ ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში.
ა(ა)იპ ,,ქალთა თახების გაერთიანება"ოფიციალური ვებ გვერდი (დამუშავების პროცესში)
ფოტო მასალი - დანართის სახით
თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N241 (28.02.2018წ.) ნელი აბეჩხრიშვილი გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ
ა(ა)იპ ქალთა ოთახების გაერთიანების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge